საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №31/2016
2016 წლის 10 ივნისი

ქ. თბილისი

2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 4 იანვრის №1/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 4 იანვრის №1/2016 დადგენილებით (სსმ ვებგვერდი 05/01/2016 010240060.15.008.016240) დამტკიცებულ დანართში შევიდეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**
კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**

დანართი

პროგრამული კოდი	ხარჯთაღრიცხვა	სულ (ლარი)
06 02	**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია**	**38,136,230**
	ხარჯები	37,312,530
	შრომის ანაზღაურება	21,027,522
	საქონელი და მომსახურება	7,520,641
	სხვა ხარჯები	8,764,367
	არაფინანსური აქტივების ზრდა	823,700
06 02 01	**არჩევნების ჩატარების ღონისძიებები**	**30,888,046**
	ხარჯები	30,064,346
	შრომის ანაზღაურება	20,707,739
	საქონელი და მომსახურება	6,763,841

	სხვა ხარჯები	2,592,767
	არაფინანსური აქტივების ზრდა	823,700
06 02 02	**არჩევნებისთვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება**	**1,076,583**
	ხარჯები	1,076,583
	შრომის ანაზღაურება	319,783
	საქონელი და მომსახურება	756,800
06 02 03	**საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯები**	**1,981,100**
	ხარჯები	1,981,100
	სხვა ხარჯები	1,981,100
06 02 04	**საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსება**	**4,190,500**
	ხარჯები	4,190,500
	სხვა ხარჯები	4,190,500